თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2022 წლის 6 თვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-373 983.6) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 347 862.5 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 435 932.9 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტი
	160,576.0	435,932.9
ვალუტა და დეპოზიტები*	0.0	348,400.3
სესხები	160,576.0	87,532.6

*ვალუტა და დეპოზიტებში 348 400.3 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 881 412.3 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2022 წლის 1 ივლისისათვის განისაზღვრა 1 229 812.6 ათასი ლარით (მათ შორის, კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით განთავსებული 594 298.0 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N845 განკარგულების შესაბამისად)).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 88 070.4 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტი
	272,278.1	88,070.4
ვალუტა და დეპოზიტები	197,178.1	0.0
სესხები	75,100.0	87,220.4
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	850.0

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 721 846.1 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 225 167.0 ათასი ლარი,

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტი
	1,313,347.7	1,225,167.0
საშინაო	451,000.0	431,631.8
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	451,000.0	431,631.8
საგარეო	862,347.7	793,535.1
სესხები	862,347.7	793,535.1

მათ შორის:

- 431 631.8 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
  - ✓ 2022 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 26 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 211 831.0 ათასი ლარის მოცულობით, აქედან 2, 5 და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები გამოშვებული 976 831.0 ათასი ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე.წ. „ბენჩმარკ ბონდებს“. 2018 წლიდან „ბენჩმარკ ბონდების“ რეგულარულმა ემისიამ გამოიწვია ინვესტორების მეტად დაინტერესება და სტაბილური შემოსავლიანობის მრუდის (Yield Curve) შექმნა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. ამავე პერიოდში დაიფარა 775 000.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 9.9% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 9.5% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 34.7% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 41.8% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 4.1% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.
  - ✓ საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 1 206 519.3 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 774 887.4 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 431 631.8 ათასი ლარი.
- 532 862.5 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 260 672.7 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები;

სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება/დაფარვით 2022 წლის 6 თვის განმავლობაში საშინაო ვალდებულებების ცვლილება

ათას ლარებში

თვე	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული თანხა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	220,086.2	15,481.2	204,605.0
თებერვალი	194,714.4	29,087.5	165,626.9
მარტი	190,160.3	148,990.4	41,169.8
აპრილი	220,537.7	525,129.6	-304,591.9
მაისი	189,216.9	23,341.9	165,875.0
ივნისი	191,803.9	32,856.9	158,947.0
სულ	**1,206,519.3**	**774,887.4**	**431,631.8**

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები*	**260,672.7**
AIIB	12,353.4
ADB	155,544.3
საფრანგეთი	92,775.0
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**532,862.5**
WB	118,154.6
NEFCO	975.3
IFAD	1,925.5
EIB	110,100.4
EBRD	31,419.9
CEB	6,023.8
AIIB	4,335.7
ADB	240,365.1
კუვეიტი	2,314.7
გერმანია	17,247.6
სულ კრედიტები	**793,535.1**

**შენიშვნა: მოიცავს „COVID-19 წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროგრამის“ ფარგლებში 2021 წელს მიღებულ დაფინანსებას AIIB-დან 12 353.4 ათას ლარს;*

3. ვალდებულებების კლება 503 320.9 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტი
	508,349.9	503,320.9
საშინაო	24,854.4	24,854.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	22,000.0	22,000.0
სესხები	2,854.4	2,854.4
საგარეო	483,495.4	478,466.5
სესხები	481,286.0	476,257.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	2,209.4	2,209.4

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 29 366 649.3 ათასი ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 6 208 431.8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის:
  - ✓ ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 120 846.0 ათასი ლარი;

- ✓ სხვადასხვა ვადის მქონე ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 170 000.0 ათასი ლარი;
- ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 341 779.4 ათასი ლარი;
- ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 5 575 806.4 ათასი ლარი;

➢ სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 23 158 217.5 მლნ ლარს.

ათას ლარებში

კრედიტორი	**ნაშთი 30.06.2022 მდგომარეობით**
სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი	**23,158,217.5**
მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი	**21,876,812.1**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**15,937,638.8**
მსოფლიო ბანკი (WB)	5,803,476.1
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	105,292.1
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	571,674.0
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	648,775.3
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	5,344,756.6
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	2,487,370.8
ევროკავშირი (EU)	409,919.3
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	545,483.8
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	14,462.0
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	6,428.8
ორმხრივი კრედიტორებისაგან	**4,470,823.0**
ავსტრია	42,850.9
აზერბაიჯანი	10,899.2
თურქმენეთი	618.2
თურქეთი	21,222.8
ირანი	7,950.1
რუსეთი	74,499.4
სომხეთი	9,614.5
ყაზახეთი	11,855.8
ჩინეთი	0.0
გერმანია	1,797,576.2
იაპონია	453,752.0
კუვეიტი	33,516.0
ნიდერლანდები	235.8
ამერიკა	37,393.6
საფრანგეთი	1,968,838.6
სხვა საგარეო ვალდებულებები	**1,464,450.0**
ევრობონდები	1,464,450.0
სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები	**3,900.2**
გერმანია	3,900.2
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**1,281,405.4**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	1,281,405.4
სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი	**6,208,431.8**
ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	120,846.0

კრედიტორი	ნაშთი 30.06.2022 მდგომარეობით
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	170,000.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	341,779.4
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	5,575,806.4
სულ სახელმწიფო ვალის ნაშთი	**29,366,649.3**

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრულ პარამეტრებთან შესაბამისობა

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ა) COVID-19 გამოწვეული კრიზისის გათვალისწინებით, 2022 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაიგეგმა, ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვარს მიღმა - 4.2%-ის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 45.7 მლნ ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 0.07 %-ია.

ბ) საქართველოს მთავრობის ვალმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 40.4%.[1] ამასთან, ვინაიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) განისაზღვრა მთლიანი შიდა პროდუქტის 0.7%-ით, ჯამურად ეს ვალდებულებები მშპ-ის 41.1%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

[1] არ მოიცავს *„ე. წ. „ისტორიული ვალის“ მოცულობას, ვინაიდან აღნიშნულ მაჩვენებელზე არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია.* ამასთან, მთავრობის ვალის მოცულობაში გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სესხის სახით აღებული ვალი, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.